ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 3 მარტი 1939 წ.

F 11556

შინაარსი

1. ბრძანება № 1037—საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მოსწავლეთა მომზადებისა და მონაწილეობის მიღების საქმეში სახ. განათლების განყოფილებათა და სკოლების ამოცანების შესახებ . . . 2
2. ბრძანება № 1109—წ. კ. უცოდინარ და მცირემცოდნე წვევანდელთა სწავლების შესახებ 3
3. ბრძანება № 1186 - 1918, 19 და 20 წლ. დაბადებულთა გაწვევისათვის მზადების შესახებ 4
4. ბრძანება № 12:7 მოზრდილთა სკოლების დირექტორთა თათბირის მოწვევის შესახებ 6
5. დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ანტისაალდგომო კამპანიის ჩატარების შესახებ—ცირკულარულად . . 7
6. დადგენილება — საქ.სსრ განსახკომის კოლეგიისა 1939 წ. 17 თებერვალს—პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ 9
7. დადგენილება განსახკომის კოლეგიისა - საშუალო სკოლებში 1938/39 სას. წლის პირველ ნახ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგებზე 14
8. დადგენილება – განსახკომის კოლეგიისა—მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის სკოლებში 17
9. რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს 20

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

განსახკომი
თბილისი—1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1037

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 28 თებერვალს

საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენისათვის მოსწავლეთა მომზადებისა და მონაწილეობის მიღების საქმეში სახალხო განათლების განყოფილებათა და სკოლების ამოცანების შესახებ.

მომავალი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწოდებულია ასახოს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მიღწევათა მთელი სიდიადე. მთელი თავის მრავალფეროვნებაში აჩვენოს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სიძლიერე და სიმდიდრე და მისცეს მძლავრი ბიძგი კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის მიღწევათა შემდგომი ზრდისა და გაძლიერებისათვის.

პარტიამ და ხელისუფლებამ საბჭოთა მოსწავლეობას მისცა უფლება და შეაძლებლობა მოზრდილებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში თავის ნატურალისტურ საცდელი მუშაობის მიღწევათა ჩვენებით, მაგრამ ეს შესაძლებლობა დღემდე გამოყენებულია მეტად არადამაკმაყოფილებლად; სახალხო განათლების განყოფილებათა დიდი უმრავლესობა განზე დგანან და არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას მოსწავლეთა გამოფენაში მონაწილეობისათვის მომზადების საქმეს.

სახ. სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებით პიონერ-მოსწავლეების, ახალგაზრდა ნატურალისტების, ნორჩ ტექნიკოსების და სხვათა მუშაობისა და მიღწევების ფართოდ ჩვენების უზრუნველყოფის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. რაიონისა და ქალაქის სახ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა კომკავშირის და პიონერ ორგანიზაციის დახმარებით განუმარტონ და ფართოდ გაუშუქონ მოსწავლე ახალგაზრდობას გამოფენის ამოცანები, მასში მონაწილეობის პირობები, განცხადების მიცემის წესი.

განიხილონ ქ. გორის ნორჩ-პიონერთა მომართვა და მოაწყონ მასწავლებელთა განცხადებების მიცემა გამოფენაში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

ა) საშაწათმოქმედო ორგანოების დახმარებით უზრუნველყოფილი იქნას კონსულტაციები ბავშვებისათვის, რომლებიც ამზადებენ თავის ექსპონატებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

ბ) რაიონისა და ქალაქის სახ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განსაკუთრებით აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, რომელთა გამგეობაში იმყოფება საბავშვო სკოლის გარეშე დაწესებულებები (ნორჩ ნატურალისტთა საღგურები, საბავშვო ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო საღგურები, პიონერთა სახლები და სასახლეები) უზრუნველყონ ამ დაწესებულებათა პრაქტიკული მუშაობის გაშლა-გამოფენისათვის ბავშვების მიერ ექსპონატების დამზადების საქმეში.

გ) გამოიყოს მუშაკები, რომელთაც დაეკისროს პასუხისმგებლობა გამოფენისათვის მასწავლებელთა მომზადებისა და ყველა აუცილებელ მასალების სამოწამოქმედო ორგანოებისათვის დროულად ჩაბარებისათვის, გამოფენის კანდიდატ-მოსწავლეთა და ექსპონატების დასახასიათებლად.

დ) დაწესდეს (სკოლის დირექტორებისა, საბავშვო სახლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მეშვეობით) მოცემული რაიონის (ქალაქი) მოსწავლეთა პერსონალური აღრიცხვა, რომელნიც ემზადებიან გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

ე) სახსრების განაწილების გეგმაში სკოლის გარეშე მუშაობისათვის განკუთვნილ

თანხებთან ერთად გათვალისწინებულ იქნას სპეციალური ასიგნირება ორგ-მასობრივი ღონისძიებათა გატარებისათვის: საინსტრუქციო თათბირების მოწვევა, (პიონერთა შეკრება, ადგილებზე მისვლა ექსპონატების გაფორმებისა და ბავშვების ექსკურსიების ორგანიზაციისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში).

2. დაწყებითი და საშუალო სკოლისა და საბავშვო სახლების სამმართველოებს დაევალოს თავის ინსპექტორების ადგილებზე, მივლინებისას გეგმაში შეიტანოს განათლების განყოფილებათა, სკოლების და საბავშვო სახლების გამოფენისათვის მზადების მდგომარეობის შემოწმება და აღმოუჩინონ მათ აუცილებელი პრაქტიკული დახმარება.

3. დაევალოს სკოლის დირექტორებს გამოფენისათვის მოსამზადებელ მუშაობაში ფართოდ ჩააბან ბიოლოგი მასწავლებლები; ნატურალისტური მუშაობის გაშლისათვის გამოიყენონ სასკოლო კაბინეტები და კოლმეურნეობასთან არსებული მიწის ნაკვეთები.

4. სკოლებისა, წრეებისა და ცალკეული მოსწავლის მთელი მუშაობა გამოფენისათვის ექსპონატების დამზადების საქმეში გაშლილ იქნას ფართო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის გამოყენებულ იქნას ის, როგორც სტიმული ბავშვთა შორის მასობრივი ნატურალისტური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

5. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის პიონერებისა და მოსწავლეების მომზადების საქმეში საერთო ოპერატიული ხელმძღვანელობა ამ ბრძანების შესაბამისად დაევალოს განსახკომის საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. **გრ. საჯაიას.**

განსახკომის აპარატის და ადგილებზე მისი ორგანოების მიერ ამ ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ჩემს მოადგილეს ამხ. ვეგეშიძეს.

განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე.

ბრძანება № 1109

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წ. 4 მარტს

წ. კ. უცოდინარ და მცირე-მცოდნე წვევამდელთა სწავლების შესახებ.

როგორც წარმოდგენილ მასალებიდან ჩანს, წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სწავლება რიგ რაიონებში (კასპი, ჭიათურა, სიღნაღი წითელწყარო, ქ. თბილისის 26 კომუნარის რაიონი და სხვ) არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. განათლების განყოფილებები სუსტად იბრძვიან წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა მთელი კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. არ არის ყოველდღიური კავშირი განათლების განყოფილებებსა და სამხედრო კომისარიატებს შორის. მიუხედავად განსახკომის მითითებისა, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა (ლუქსემბურგი, ბოგდანოვკა, გურჯაანი, კასპი, ჭიათურა, ბორჩალო და სხვ.) ვერ შესძლეს წვევამდელთა შორის მუშაობის ფართოდ გაშლა, ეს კი საფრთხეს ქმნის გაწვევის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. აღნიშნულის გამო **ვბრძანებ:**

1. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სამხედრო კომისარიატებთან ერთად, 5 დღის ვადაში ჩააბან სწავლებაში წარმოების პრინციპის მიხედვით წერა-კითხვის ყველა უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი.

2. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველყონ წერა-კითხვის

უცოდინარ წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა სკოლის პროგრამული მასალის გავლა ა/წ 1-ლ მაისამდე, ხოლო 1-ლ მაისიდან 1-ლ აგვისტომდე დამთავრებულ იქნას მცირემცოდნეთა სკოლის პროგრამული მასალის სრული კურსი.

3. საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა კლასებში, ჯგუფებში და ინდივიდუალური სწავლების პუნქტებში შემოღებულ იქნას რუსული ენის სწავლება, რისთვისაც წერაკითხვის უცოდინართა სკოლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას დამატებით 120 საათი. ხოლო მცირემცოდნეთა სკოლის სასწავლო გეგმაში 120 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც წვევამდელთა ლიკვსკოლის მასწავლებელი ვერ შესძლებს რუსული ენის სწავლებას, მაშინ განათლების განყოფილების გამგე ვალდებულია შეარჩიოს კვალიფიციური მასწავლებელი და დააკისროს მას ამ საგნის სწავლება.

4. დაევალოს მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსს ამხ. მუჩიაშვილს 7 მარტამდე დაიყვანოს ადგილებზე რუსული ენის პროგრამა სათანადო მეთოდური მითითებებით.

5. რუსული ენის სახელმძღვანელოდ დროებით გამოყენებულ იქნას დაწყებითი სკოლის მესამე კლასის სახელმძღვანელო პირველი და მეორე ნაწილი.

6. ვავალებ განათლების განყოფილებათა გამგეებს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განგანყოფილებას ყოველი თვის სამ რიცხვში წერილობით მომახსენონ 1918—19—20 წლებში დაბადებულთა წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სწავლების მიმდინარეობა, ამ ვადების დამრღვევთა მიმართ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

7. განმეორებით ვაფრთხილებ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ გაწვევისათვის (სექტემბერი) წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის არ დასრულება გამოიწვევს პასუხისგებაში მიცემას, ამიტომ აქედანვე სწორად უნდა იქნას ორგანიზებული წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სწავლება.

8. განათლების განყოფილებებმა მტკიცე კავშირი იქონიონ სამხედრო კომისარიატებთან და ახალჩამოსული, აღრიცხვაზე აყვანილი წვევამდელები დაუყოვნებლივ ჩაბან სწავლებაში.

9. ა/წ მარტის თვეში განსახკომის კოლეგიის სხდომაზე დაისვას აფხაზეთის ასსრ განსახკომის, ზუგდიდის, ჭიათურის, დუშეთის და გორის განს. განყოფილებათა გამგეების მოხსენებანი წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ.

10. ვავალებ მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსს ამხ. მუჩიაშვილს უხელმძღვანელოს აღნიშნული ბრძანების განხორციელებას და შეუსრულებლობის ყოველი ცალკე შემთხვევა მომახსენოს პირადად მე.

ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში.

განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე.

ბრძანება № 1186

საქ. სსრ სამხედრო კომისრის, განათლების სახალხო კომისრის და ჯანმრთელობის სახალხო კომისრისა

1939 წ. 7 მარტს

1918—19—20 წ. დაბადებულთა გაწვევისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

რიგ რაიონებში ჩატარებულ გამოკვლევებიდან ჩანს, რომ გაწვევისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. განსაკუთრებით საგრძნობი გარღვევებია წვევამდელთა ჯანმრთელობის დაცვისა და წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში. აღნიშნულისა გამო **ვბრძანებთ:**

1. მოწვეულ იქნეს აწ 25 მარტს სამხედრო კომისრების, განგანყოფილებათა და ჯანგანყოფილებათა გამგეების ერთდღიანი ჯგუფური თათბირები და მოსმენილ იქნეს ამ თათბირებზე სამხედრო კომისრების და განყოფილებათა გამგეების მოხსენებანი გაწვევისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

2. თათბირების ჩასატარებლად მიმაგრებულ იქნან სამხედრო, განაღების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების, წარმომადგენლები. მიმაგრებული ამხანაგებს ინსტრუქტაჟი ჩატარდეს აწ 20 მარტს საქ. სსრ სამხედრო კომისარიატის შენობაში.

3. თათბირებზე დამუშავებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი და იქვე დაურიგდეს თათბირის მონაწილეებს.

4. ჯგუფური თათბირები ჩატარდეს შემდეგი წესით:

ა) ქ. თბილისში (თათბირი იმუშავებს განსახკომის შენობაში ოთახი № 23) გამოძახებულ იქნას: ალბულაღი, საგარეჯო, ყაზბეგი, დუშეთი, ყარაიაზი, თბილისი, თიანეთი, წალკა, ბაშკიჩეთი, ბორჩალო, ლუქსემბურგი და ქ. თბილისის ხუთივე რაიონის წარმომადგენელი.

ბ) ბათუმში (თათბირი იმუშავებს აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის შენობაში) გამოძახებულ იქნან მახარაძე. ლანჩხუთი, ჩოხატაური, ხულო, ქედა, ქობულეთი, ქ. ბათუმი და ბათუმის რაიონის წარმომადგენლები.

გ) ქ. ქუთაისში (თათბირი იმუშავებს განგანყოფილების შენობაში). გამოძახებულ იქნან: ბაღდადი, სამტრედია, ზესტაფონი, ონი, ტყიბული, ჩხარი, ცაგერი, ამბროლაური, წულუკიძე, ჭიათურა, ვანი და ქვემო-სვანეთის რაიონების წარმომადგენლები.

დ) ქ. ზუგდიდში (თათბირი იმუშავებს სამხედრო კომისარიატის შენობაში) გამოწვეულ იქნან: აბაშა, გეგეჭკორი, ცხაკაია, ქ. ფოთი, ხობი, ზემო-სვანეთი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ქ. სოხუმი, ოჩამჩირი, გუდაუთი, გაგრა, გალი და სოხუმის რაიონების წარმომადგენლები.

ე) ქ. ახალციხეში (თათბირი იმუშავებს სამხედრო კომისარიატის შენობაში) გამოწვეული იქნან: დიგენი, ახალქალაქი, ბოგდანოვკა და ასპინძის რაიონების წარმომადგენლები.

ვ) ქ. თელავში (თათბირი იმუშავებს ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში) გამოწვეულ იქნან: ყვარელი, გურჯაანი, სიღნაღი, წითელი-წყარო და ლაგოდეხის რაიონების წარმომადგენლები.

ზ) ქ. გორში (თათბირი იმუშავებს სამხედრო კომისარიატის შენობაში) გამოწვეულ იქნან: ხაშური, ბორჯომი, ორჯონიკიძე. კასპი, ქ. სტალინირი, ჯავა. ზნაური, ლენინგორი და სტალინირის რაიონების წარმომადგენლები.

5. თათბირებზე მიმაგრებულ იქნან:

ა) ქ. თბილისში, სამხედრო კომისარიატიდან ამხ. კალთვიანი, განსახკომიდან მ. ბურჭულაძე. ჯანსახკომიდან. ალექსანდრე ცქეტიშვილი.

ბ) ქ. ბათუმში, სამხედრო კომისარიატიდან. ძაბახიძე. განსახკომიდან მუჩიაშვილი, ჯანსახკომიდან ნ. ჭიტინაძე.

გ) ქ ქუთაისში, სამხედრო კომისარიატიდან ჩოჩიევი, განსახკომიდან პაჭკორია, ჯანსახკომიდან, მიხეილ ჟორჟოლიანი.

დ) ქ. ზუგდიდში, სამხკომიდან კობეშავიძე. განსახკომიდან ბოკერია, ჯანსახკომიდან ჩახნაძე.

ე) ქ. ახალციხეში, სამხკომიდან პაპინიანი. განსახკომიდან იოსელიანი, ჯანსახკომიდან აკაკი ჩახუნაშვილი.

ვ) ქ. თელავში, სამხკომიდან ერისთავი, განსახკომიდან—მორჩილაძე, ჯანსახკომიდან ჩიკვაიძე იოსები.

ზ) ქ. გორში, სამხკომიდან ბერუჩაშვილი, განსახკომიდან მორჩილაძე, ჯანსახკომიდან ამირბეგოვი.

6. თათბირი გაიხსნება 25 მარტს, დილის სრულ 1 საათზე.

7. ვავალებთ რაისამხედრო კომისრებს, გან-

განყოფილებათა და ჯანგანყოფილებათა გამგეებს უზრუნველყონ დანიშნულ დროზე დაუგვიანებლივ გამოცხადება.

8. თათბირის ჩატარების შედეგები მოსმენილ იქნეს უწყებრივ კომისარიატების სპეციალურ თათბირებზე და დასახული კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქ. სამხედრო კომისარი პოლკოვნიკი **ძაბახიძე**

განათლების სახალხო კომისარი **გ. კიკნაძე.**

ჯანმრთელობის სახ. კომისარი **თოდაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1227

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წ. 9 მარტს

მოზრდილთა სკოლების დირექტორთა თათბირის მოწვევის შესახებ

მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლების მუშაობის შემოწმებისა და მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შეჯამების დროს გამოირკვა, რომ რიგ სკოლებში სათანადო არასაკმაო მოცულობითაა გაშლილი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, არადამაკმაყოფილებელ დონეზე დგას წერითი მეტყველების განვითარება, ადგილი აქვს კლასების უმართებულო დაკომპლექტებას, რის შედეგად დიდია მოსწავლეთა განთესვის პროცენტი და სხვა.

ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად და მოზრდილთა სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით **ვბრძანებ:**

1. მოწვეულ იქნას 1939 წლის 22 მარტს მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორების რესპუბლიკანური თათბირი.

2. თათბირისათვის დამტკიცდეს შემდეგი დღის წესრიგი:

ა) 1938-39 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები (მომხსენებელი ამხ. ზ. მუჩიაშვილი).

ბ) მოხსენებები ადგილებიდან: ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების (რუსულ-ქართული), სოხუმის (რუსული), სტალინის (ქართული), თბილისის მე3 (ქართულ-რუსული) და თბილისის მე-10 (სომხური) მოზრდილთა სკოლების დირექტორებისა.

გ) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ მოზრდილთა სკოლებში (მომხ. ამხ. ნ. კანდელაკი).

დ) რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ (მომხ. ვ. დემურია).

ე) 1938-39 სასწავლო წელში მოზრდილთა სკოლების მიერ გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ათვისებისა და 1939-40 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ (მომხ. ამხ. ვ. პაჭკორია).

3) დამტკიცდეს მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ თათბირთან დაკავშირებით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა.

4. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს ამხ. პ. კობახიძეს, ხარჯთაღრიცხვის თანხებით უზრუნველყოფა.

5. დაევალოს რაიაღმასკომის განგანყოფილებათა გამგეებს უზრუნველჰყონ მოზრდილთა სკოლების დირექტორების დროულად მოვლინება საჭირო მასალებით (წერილობითი მოხსენება და მე-3 მეოთხედის შეჯამებითი მასალა).

6. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციამ გააშუქოს თათბირის მიმდინარეობა და შედეგები.

7. თათბირი მოწვეულ იქნას მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3. ა/წ 22 მარტს, დღის 12 საათზე.

განსახკომის მოადგილე **ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, საქართველოს ყველა რაიონულ (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს და დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს).

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში ანტისააღდგომო კამპანიის ჩატარების შესახებ.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, ბედნიერ საბჭოთა ხალხის სამშობლოში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, კოლექტივიზაციამ, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურის დონის მძლავრმა ამაღლებამ მოსპო ხალხის დამაბრმავებელი და დამაბეჩავებელი რელიგიის სოციალური ფესვები, გაუგონრად გაზარდა მებრძოლი ათეიზმი მშრომელ მოსახლეობაში და ადამიანთა მილიონები ჩამოაშორა სარწმუნოებრივ უმეცრებას, აღამაღლა საბჭოთა სკოლა, გადააქცია იგი მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის მხურვალე და ჩაუქრობელ კერად.

ჩვენი ქვეყნის მუშათა, კოლმეურნეთა და მოსწავლეთა ფართო მასებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ რელიგია წარმოადგენს მყვლეფელი კლასების ხელში ბასრ იარაღს მშრომელების დასამონებლად, ექსპლოატატორული კლასების ბატონობის გასამტკიცებლად და შეგნებული აქვთ, რომ უნდა აწარმოონ და აწარმოებენ კიდევაც შეუპოვარ ბრძოლას ცრუმორწმუნეობის ნაშთების აღმოსაფხვრელად.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ქვეყანაში განადგურებული მტრული კლასების ყველა ჯურის ნამსხვრევები, მათ შორის ე. წ. „საეკლესიო მამები" მუშათა, კოლმეურნეთა და ყველა შეგნებულ ადამიანთა ამ აქტიურ ბრძოლას ანტირელიგიურ ფრონტზე უპირისპირებენ გადამჭრელ წინააღმდეგობას და ცდილობენ მოსახლეობის და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩამორჩენილ ნაწილის რელიგიის ანკესზე წამოგებით, თავისი ბოროტი ზრახვების განხორციელებას.

მღვდლები და რელიგიურ კულტთა ყველა ჯურის მსახურნი შეეცდებიან მოახლოებულ რელიგიურ დღესასწაულ „აღდგომასთან" დაკავშირებით ცრუმორწმუნეობის ბურუსში გახვიონ, რაც შეიძლება მეტი მოქალაქენი და მოსწავლე ახალგაზრდობა და ფარულად აწარმოონ ანტისაბჭოთა პროპაგანდა.

მტრების ასეთ ცდას ფართო საბჭოთა საზოგადოებრივობამ და სკოლებმა უნდა დაუპირისპირონ ანტირელიგიური კამპანიის სათანადოდ გაშლა.

ამ მიმართულებით მუშაობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს საბჭოთა სკოლამ, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს **ლენინ-სტალინის** საქმისათვის, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი ადამიანები, რომლებიც ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, იღჭურვებიან მოწინავე მეცნიერების მიღწევათა საფუძვლიანი ცოდნით, იმსჭვალებიან **ლენინ-სტალინის** პარტიისა და ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულებითა და სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით.

სამწუხაროდ, სკოლების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დაივიწყა ის, რომ ანტირელიგიური აღზრდა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ერთერთი ძირითადი პრინციპი საბჭოთა სკო-

ლისა. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა მოსწავლეთა ნაწილში რელიგიურ განწყობილების გამოცოცხლებაში („საშობაო“ და „საადგომო“ დღეებში ზოგიერთი მოსწავლეები ანთებული სანთლებით იდგენ ეკლესიაში და სხვ.).

რიგი სკოლის ხელმძღვანელები არასაკმაოდ ებრძვიან სკოლებში მაგნებლების მიერ წლობით დანერგილ „ურელიგიო აღზრდის“ მაგნე „თეორიას“, რაც უარყოფით დაღს ასვამს მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ეს გარემობა სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ და ძირშივე უნდა აღკვეთონ ანტირელიგიურ მუშაობისადმი უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. სკოლის ხელმძღვანელებს და მასწავლებლობას უნდა ახსოვდეს, რომ კომუნიზმისათვის მებრძოლი ამავე დროს დაუნდობლად უნდა იბრძოდეს რელიგიის წინააღმდეგ. საბჭოთა სკოლა მოსწავლეთა აღმზრდელობითი მუშაობისას ფართოდ უნდა შლიდეს ანტირელიგიურ მუშაობას.

სკოლაში არ უნდა დარჩეს არცერთი მოსწავლე, ხოლო სკოლის გარეთ—არც ერთი მშობელი, რომელიც გარკვეული არ ქონდეთ განმარტებული რელიგიის კლასობრივი არსი, მისი მჭიდრო კავშირი ხალხის საზიზღარ მტრებთან და მისი ანტიმეცნიერულობა.

საბჭოთა სკოლა თავის სხვა უდიდეს გამარჯვებასთან ერთად ამ მხრივაც გამარჯვებული უნდა შეხვდეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ავალებს სკოლის დირექტორებს და გამგეებს, უზრუნველჰყონ შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1. სახ. განათლების განყოფილებათა გამგეების ხელმძღვანელობით პირველ აპრილამდე თითოეულმა სკოლამ უნდა შეადგინოს ანტისაღდგომო კამპანიასთან დაკავშირებით მასობრივ-საგაგიტაციო ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი მომენტები:

ა) ე. წ. „საადგომო“ წინა დღეებში („ვნების კვირაში“) — 1-დან 9 აპრილამდე ანტირელიგიურ მხატვრული ღილების (1—4 კლ.) და საღამოების (5—10 კლ.) მოწყობა.

ბ) მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე ანტირელიგიური შინაარსის საუბრების და მოხსენება-ლექციების ჩატარება, სადაც მეცნიერულად უნდა იქნას ახსნილი ე. წ. „აღგომის“ მითის წარმოშობა, სხვადასხვა რელიგიურ რწმენათა და მითების ერთფესვიანობა და რელიგიის კლასობრივი ბუნება.

გ) სადაც მოსახერხებელია ანტირელიგიური შინაარსის კინო-სურათებისა და სხვა სანახაობათა ჩვენება.

დ) ანტირელიგიური კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარება.

ე) ანტირელიგიური კუთხის მოწყობა.

ვ) ანტირელიგიური ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომებიდან სათანადო ადგილების გაცნობა.

თ) ქიმიური და ფიზიკური ცდებით რელიგიური „სასწაულების“ სიყალბის გამომჟღავნება.

2. ქალაქებსა და რაიონებში არა უგვიანეს პირველ აპრილისა მოწვეული უნდა იქნეს დაწყებითი, არასრული საშ. და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) საქალაქო და სარაიონო თათბირები, სადაც მოსმენილ იქნება განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენება „ანტირელიგიური აღზრდის მდგომარეობა სკოლებში და ანტისაღდგომო კამპანიის ამოცანების“ შესახებ.

მოხსენებამდე სკოლის დირექტორებმა უნდა დააგროვონ კონკრეტული ფაქტები ცალკეულ კლასებსა და საგნებში ანტირელიგიური აღზრდის მიმდინარეობის შესახებ.

3. სკოლაში ანტირელიგიური მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სასწავლო დისციპლინების (შობლიური ენა, ისტორია, ბუნებისმეტყველება, ქიმია და ფიზიკა) სწავლებას, იმ ანგარიშით, რომ ყოველი მეცნიერული დებულების შესწავლა მოსწავლეში იმოშავებდეს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტურ თვალსაზრისს.

4. ანტისაბოდგომო კამპანიამ სკოლებში უნდა გამოიწვიოს „მუკის“ სასკოლო უჯრედის და მოსწავლეთა ანტირელიგიური წრეების შუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესება, ხოლო იმ სკოლებში, სადაც ასეთები არ არსებობენ — აღნიშნულ პერიოდში ასეთების ჩამოყალიბება.

5. სკოლის დირექტორებმა უნდა შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ანტირელიგიური ლიტერატურით და უზრუნველჰყონ სკოლა ანტირელიგიური პერიოდული გამოცემებით: ქართული ჟურნალ „მებრძოლი ათეისტი“ და რუსული ჟურნალ „ანტირელიგიოზნიკოთ“.

თითოეულმა სკოლის დირექტორმა (გამგემ) და მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობაში ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელების საქმეს.

განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ ადგილებზე ანტისაბოდგომო კამპანიის მსვლელობა და კონკრეტული დახმარება გაუწიონ სკოლებს ანტირელიგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანის საქმეში.

განათლების სახ. კომისრის მოადგ.
მ. ბურჯულაძე

საშუალო სკოლის სამმართველოს
უფროსის მოადგილე ბ. საჯაია

დაწყებითი სკოლის სამმართვ.
უფროსი უშ. ოგბოლაძე

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡᲐ 1939 Წ. 17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

საქ. სსრ ტერიტორიაზე პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ. ქ. თბილისისა, თბილისის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ასპინძის, ადიგენის, ბაშკიჩეთის, წალკის, ბორჯომის, ხაშურის, სავარეჯოს, ყაზბეგის რაიონებსა და აჭარის ასსრ რესპუბლიკაში. (მომხსენებელი უ. ობოლაძე).

პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს.

საკ. კ. პ. (ბ) ცკას 1930 წ. 25 ივლისის **„საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შესახებ“** მოცემული ისტორიული დადგენილების შემდეგ დაწყებითი სკოლის ხაზით საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმე გადაიქცა უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის საქმედ. დიდად გაფართოვდა საყოველთაო-სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლების სკოლათა ქსელი, გადიდდა სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი, გადაჭრით გაუმჯობესდა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების საქმე, მოხდა უდიდესი ზრდა დაფინანსებისა, გარდაიქმნა და განმტკიცდა სასწავლო მატერიალური ბაზა და სხვ.

თუ 1929—30 სასწავლო წელში — პირველ დაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დაწესებამდე — საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლების I—IV კლასებში სულ 245.566 მოსწავლე სწავლობდა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებიდან ოთხი წლის თავ-

ზე, 1934—35 სასწავლო წლისათვის I—IV კლ. გაერთიანებული იყო 434.520 მოსწავლე — 180% 1929—30 წელთან შედარებით.

1929 წლის ბიუჯეტის მიხედვით დაწყებითი სკოლების შენახვაზე სულ 3.827.916 მან. იხარჯებოდა, პირველ დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებიდან ოთხი წლის თავზე 1934 წ. ეს თანხა 600%-მდე გაიზარდა, მიაღწია — 25.090.000 მანეთს. პირველ-დაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის სტალინურ კონსტიტუციაში ფიქსირების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა ამ დარგში მოპოვებული მიღწევები. მოხდა სასკოლო ქსელის დაზუსტება. 1938 წლის განმავლობაში პირველ-დაწყებითი სწავლების ქსელში უკვე 450.000-დე მოსწავლე იყო გაერთიანებული. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდ ნაწილს პერსონალური წოდება მიეცა. ერთი ორად გაიზარდა 1934 წ. შედარებით საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ქსელის დაფინანსება, მარტო მასწავლებელთა ხელფასზე დაიხარჯა 1938 წ. 50 მილიონი მანეთი.

პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლება სახალხო განათლების საქმის მტკიცე საფუძვლად გადაიქცა.

პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში არსებულ დიდ მიღწევებთან ერთად, ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ დეფექტებს და ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევებში დანაშაულებრივ ხასიათის დამახინჯებებსაც. ბევრი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებმა მთელი სისრულით ვერ გაითვალისწინეს პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების უაღრესად დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, ვერ უზრუნველყვეს საბჭოთა მოსახლეობის მთლიანი მობილიზება პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების უნაკლოდ გასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის, ასპინძის, ადიგენის, ბაშკიჩეთის, ლანჩხუთის რაიონების სახალხო განათლების საქმის ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლობის შედეგად ზუსტი აღრიცხვა პირველ-დაწყებით სკოლებში ჩასაბმელი ბავშვებისა 1938—39 სასწავლო წლისათვის არ ჩატარებულა, დღემდე არ არის გამორკვეული იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც პირველდაწყებითი სწავლების ქსელში გაერთიანებული არ არიან.

ასე, მაგალითად: ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში (გან. განყოფ. გამგე — მსუქნიშვილი) განათლების განყოფილების 1938 წ. 1/9 აღრიცხვის მიხედვით (კლასებში უნდა ყოფილიყო ჩაბმული 1140 ბავშვი, ფაქტიურად 1939 წ. თებერვლის 10 რიცხვისათვის 1966 ბავშვია ჩაბმული. ამავე პერიოდის აღრიცხვის მიხედვით ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონში (განყ. გამგე ი. მშველიძე) 1 კლასებში უნდა ყოფილიყო ჩაბმული 779 ბავშვი. ნამდვილად დღემდე ჩაბმულია 137 ბავშვი. კიროვის სახელობის რაიონში — (განყ. გამგე — ლეჟავა) აღრიცხვის მიხედვით 1 კლასებში 370 ბავშვის ჩაბმა იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად კი 1478 ბავშვია ჩაბმული.

ასპინძის, ადიგენის, ლანჩხუთისა, ბაშკიჩეთის და სხვა რაიონებში 1 კლასებში ჩასაბმელ ბავშვების აღწერა და მათი კონტინგენტის დაზუსტება რაიონის განათლების განყოფილებებს სრულებით არ უწარმოებიათ. ამის გამო ამ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა არ იციან რამდენი ბავშვია სკოლის გარეთ დარჩენილი.

პირველდაწყებითი საყოველთაო - სავალდებულო სწავლების უნაკლოდ გატარების საქმეს განსაკუთრებით აფერხებს მოსწავლეთა განთესვა სკოლებიდან. რიგი რაიონების განათლების განყოფილებანი და სკოლები მოსწავლეთა განთესვის ლიკვიდაციის საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. 1938-39 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში

I — IV კლასებში გაერთიანებულ მოსწავლეთა კონტინგენტის შედარება, ამავე სასწავლო წლის პირველ მეოთხედის მოსწავლეთა კონტიგენტთან ადასტურებს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოსწავლეთა განთესვის პროცენტი დაუშვებლად დიდია.

ხაშურის რაიონში — (გან. გამგე—ნოზაძე) პირველ მეოთხედის დასაწყისში გაერთიანებული იყო: I კლ. 3218 მოსწ., მე-II კლ. — 2776 მოსწ., მე-III კლ. — 2895 მოსწ., მე-IV კლ. — 2398 მოსწ.; I კლ. დარჩა — 3082 მოსწ., II კლ. — 2568 მოსწ.. III კლ. — 2685 მოსწ., ხოლო IV კლ. კი 2266. ამრიგად სასწავლო წლის პირველ ნახევარში 11.251 მოსწავლიდან განითესა 650 მოსწავლე, ანუ მოსწავლეთა 6%. აბაშის რაიონიდან ამ პერიოდისთვის განთესილია 99 მოსწავლე, ვანის რაიონიდან 177 მოსწ., გეგეჭკორის რაიონიდან — 284 მოსწავლე, მახარაძის რაიონიდან — 154, ქ. ბათუმიდან 120 მოსწავლე, ყაზბეგის რაიონიდან 53-და სხვ.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების ცნობით სკოლებიდან მეორე მეოთხედის ბოლოსათვის **13 მოსწავლეა** განთესილი, მაშინ, როცა სინამდვილეში განთესილია **169 მოსწავლე;** 26 კომშარის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების ცნობით მეორე მეოთხედის ბოლოსათვის განთესილია **84 მოსწავლე,** ფაქტიურად განთესილ მოსწავლეთა რიცხვი ამ რაიონში **286 უდრის.** შეიმოწმების შედეგად დადასტურებულია, რომ სასწავლო წლის მეორე მეოთხედის ბოლოსათვის ქ. თბილისის სკოლების I—IV კლასებიდან სულ განთესილია **510 მოსწავლე.**

განათლების განყოფილებებთან ერთად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოსწავლეთა განთესვის ლიკვიდაციის საქმეს ზოგიერთი სკოლების ხელმძღვანელებიც: ხაშურის რაონის **სურამის საშუალო სკოლიდან 1938-39** სასწავლო წლის პირველ ნახევარში 28 მოსწავლეა განთესილი, სკოლის დირექტორმა **გვენეტაძემ** დღემდე არ იცის რაა განთესვის მიზეზი; ამგვარადვე ბორჯომის რაიონის ჯიბისხევის ან საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. ხუციშვილმა, არ იცის, რომ სკოლიდან 4 მოსწავლეა განთესილი. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. თბილისის სკოლებში.

ზოგიერთ რაიონში ზუსტი აღრიცხვის უქონლობის შედეგად დაწუხებიათ I, II, III, IV კლ. ქსელი **ცალკე უბნების მიხედვით არა შესაფერად არის დაგეგმილი,** ვერ იტევს ამ ასაკის ბავშვთა მოსახლეობას. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის მე-18, მე-15, მე-25, მე-54 სკოლების I, II, III, IV კლასები ვერ იტევენ ამ სკოლათა სამოქმედო უბნებში მცხოვრებ 8 — 12 წ. ასაკის ბავშვებს. ლუქსემბურგის რაიონის ბალიჯის დაწყებითი სკოლის I კლასში 54 მოსწავლეა გაერთიანებული, 14 მოსწავლე სკოლის გარეთაა დარჩენილი იმ მიზეზის გამო, რომ პარალელური კლასი არ იქნა გახსნილი.

მოსწავლეთა ფანთესვის პროცენტი განსაკუთრებით დიდია მომთაბარეთა რაიონებში, (აჭარის ასსრ მთიანი მხარე, ასპინძა, ადიგენი და სხვ.) რაც იმის შედეგია, რომ ამ რაიონებში მოსახლეობის ფართო ფენებში ახსნა-განმარტებითი, აღმზრდელობითი მუშაობა არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, არა საკმაოდ მუშაობენ იმ მიმართულებით, რათა საბჭოთა საკოლმეურნეო და პროფესიონალური ორგანოები დარაზმონ პირველდაწყებით საყოველთაო სავალდებულო სწავლების უნაკლოდ განხორციელებისათვის.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მესამე ხუთწლედი საყოველთაო სავალდებულო სწავლების წინაშე ახალ უფიდეს ამოცანებს სვამს, მესამე ხუთწლედში სსრკ შედის განვითარების ახალ ხანაში — „უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქ-

მეს, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგ-ნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას" (ამხ. მოლოტოვის თეზისებიდან).

პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში არსებული დეფიქტების აღმოფხვრისა და მესამე ხუთწლეულში არასრული საშუალო სკოლების ხაზით საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებაზე წარმატებით გადასვლისათვის **კოლეგია ადგენს:**

1. 1939-40 წელში 8—12 წლამდე ასაკის ბავშვების კონტინგენტის I კლასებში სრულად ჩაბმის მიზნით ავტონომიური სსრ-სა და ოლქის განსახკომებმა, ქალაქისა და რაიონების განთლების განყოფილებებმა ა/წ 30 მაისამდე დაამთავრონ 8 — 12 წ. ასაკის სკოლაში ჩაუბმელ ბავშვების აღრიცხვა. აღრიცხვა და კონტინგენტის დაზუსტება ჩაატარონ ცალკე სკოლების სამოქმედო უბნების მიხედვით. აღრიცხვის მასალების დაჯამება - დაზუსტებისას გაითვალისწინონ ქსელის იმგვარად დაგეგმა რომ 8—12 წლამდე სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები მოლიანად იქნენ ჩაბმული. ყველა ისეთ შემთხვევებში, როცა მოსწავლეთა კონტინგენტი სკოლას მთლიანად არ შეუძლია დაიტიოს, დაასაბუთონ დამატებითი კლასების გახსნის საჭიროება და დააყენონ საკითხი რაიაღმასკომის და განსახკომის წინაშე დამატებით კლ. გახსნის შესახებ. რაიონისა და ქალაქის მიხედვით 8 — 12 წლამდე ასაკის ბავშვების კონტინგენტის აღრიცხვის მასალები სათანადოდ დაზუსტებული სახით ინახებოდეს განათლების განყოფილებებში.

2. კატეგორიულად აიკრძალოს I — IV კლასამდე ასაკის მოსწავლეებისათვის საცხოვრებელ უბანში არსებულ სკოლაში ჩარიცხვაზე. ამ სკოლაში ადგილის უქონლობის მიზეზით უარის თქმა და მათი სკოლის გარეთ დატოვება. გაფრთხილებულ იქნან რაიონისა და ქალაქის განთლების განყოფილებათა გამგეები და დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორები (გამგეები), რომ ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

3. მოსწავლეთა განთვსვის აღკვეთისათვის რაიონის და ქალაქის განთლების განყოფილებებმა ა/წ 1 მარტამდე ჩაატარონ I, II, III, IV კლასებიდან განთვისილი 8 — 12 წლამდე ასაკის ბავშვების ზუსტი აღრიცხვა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი უკანვე დასაბრუნებლად.

ა) 8 — 12 წლამდე ასაკის ის მოსწავლენი, რომლებიც 1938/39 სასწავლო წლის პირველ ნახევრის ბოლოს და მეორე ნახევრის დასაწყისიდან განთვსენ სკოლებიდან, ავრეთვე ამავე ასაკის ის მოსწავლენიც, რომლებიც განთვისილი არიან წინა წლებში, ამავ პერიოდში დაუყოვნებლივ იქნენ დაბრუნებული სათანადო კლასებში ა/წ 10 მარტამდე.

ბ) ა/წ 10 მარტამდე იქნეს დაზუსტებული იმ 8—12 წ. ბავშვთა რაოდენობა ცალკეული სასკოლო უბნების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა კლასებიდან 1938-39 და წინა სასწავლო წლების დასაწყისში არიან განთვისილნი. საქალაქო და რაიონულმა განათლების განყოფილებებმა ამ თავითვე გაითვალისწინონ და 1939 წ. 1-ლ სექტემბრიდან განახორციელონ 8—12 წლამდე ამ კატეგორიის ყველა ბავშვის უკლებლივ ჩაბმა სათანადო კლასებში.

გ) მოსწავლეთა სკოლიდან განთავისუფლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის მშობლები საცხოვრებელ ადგილს იცვლიან.

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან დაკავშირებით მოსწავლეთა სკოლიდან განთავისუფლების შემდეგი წესი იქნეს დადგენილი:

1. სკოლიდან მოსწავლეთა განთავისუფლება საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო ხდება დირექტორების (გამგის) ნებართვით.

2. მოსწავლის საბუთები (მეტრიკული ამონაწერი, წარმატებისა და კლასიდან კლასში გადასვლის მოწმობა და მოსწავლის

პირადი საქმე) ამ სკოლის დირექტორის მი მართვით ეგზავნება იმ სკოლას, რომლის სამოქმედო უბანშიაც საცხოვრებლად გადადიან ამ მოსწავლის მშობლები.

3. მოსწავლის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლის შესახებ ეცნობება რაიონის განათლების განყოფილებას.

დ) საქალაქო და რაიონულმა განათლების განყოფილებებმა დაიწყეს კონტროლი სკოლებზე, ხოლო სკოლების ხელმძღვანელობამ და მასწავლებლობამ წარმართონ მუშაობა იმ მხრივ, რათა განახორციელონ სწავლებაში სკოლებიდან განთესილნი და უკანვე დაბრუნებულ ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, სისტემატურად აღმოაჩინონ მათ დახმარება გაკვეთილებზე და გაკვეთილების გარეშე მიცემულ დავალებათა შესრულებაში.

4. 14 — 18 წლამდე ასაკის მოზარდთათვის დაწყებითი სკოლის ფარგლებში განათლების მიტმის მიზნით რაიონულმა და საქალაქო განათლების განყოფილებებმა 30 მაისამდე ჩაატარონ სკოლებიდან განთესილი მოზარდების აღრიცხვა. 1939 წლის პირველ სექტემბრიდან უზრუნველყოფილი იქნეს ამ ბავშვების სრულიად ჩაბმა მოზარდთა სკოლების შესაფერის კლასებში, მოზარდთა სკოლების შესახებ არსებული დებულების საფუძველზე.

5. რაიონულმა და საქალაქო განათლების განყოფილებამ, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ხელმძღვანელებმა, მასწავლებლობამ და მასობრივ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკებმა გაძაკრით გაატარონ მეცადინეობა მუშაობა, განსაკუთრებით მომთაბარეთა რაიონებში — სისტემატური ხასიათი მისცენ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას — კერძოდ იმ ოჯახებთან, რომლებიც ამა თუ იმ სახით უქმნიან ბავშვებს დაბრკოლებას სკოლებიდან მოწყვეტის სახით.

6. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორები მჭიდროდ დაუკავშირდნენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კომკავშირს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, სახლების მმართველობებს და სხვა სათანადო ორგანიზაციებს, მათი დახმარებით უზრუნველყონ პირველდაწყებითის სწავლების ასაკის ბავშვების სრული ასი პროცენტით ჩაბმა სათანადო კლასებში.

7. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად ჩაუდგნენ სათავეში პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეს. დაიწყონ სისტემატური მეთვალყურეობა სკოლებზე, კონკრეტულად, დაეხმარონ სკოლებს ყველა ცალკეულ შემთხვევებში სკოლიდან განთესილი მოსწავლის უკანვე დასაბრუნებლად. რაიონმასკომებისა და საქალაქო საბჭოების წინაშე სისტემატურად დასვან პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საკითხები და ფართოდ დარაზმონ ამ საქმის შესასრულებლად კომკავშირული, საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციები.

8. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებმა კომისრების უშუალო ხელმძღვანელობით ხუთი დღის ვადაში დაამუშაონ კოლეგიის ეს დადგენილება მათ ტერიტორიაზე შემავალ განათლების განყოფილებათა გამგეებთან, უხელმძღვანელონ ღონისძიებათა გატარების და ყველა საჭირო შემთხვევებში პირადად მიიღონ გადამწყვეტი ხასიათის ზომები.

9. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა კვარტალურ სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ და პრაქტიკულად განახორციელონ ამ დადგენილების სისტემატური შემოწმება, რაიონებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ადგილზევე მიიღონ შესაფერი ზომები; საჭირო შემთხვევაში საკითხი დასვან საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრისა და განსახკომის კოლეგიის წინაშე.

10. რაიონებისა და ქალაქების განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განყოფილებებმა კოლეგიის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებების შესრულების შესახებ წარმოუდგინონ მოხსენებანი განსახკომს დადგენილებაში მოცემული ვადების შესაბამისად — პირველი მოხსენება — განთესვის ლიკვიდაციის შესახებ ა/წ 20 მარტისათვის. მეორე მოხსენება 1939 წლის 1 სექტემბრიდან პირველ კლასებში ჩასაბმელ ბავშვთა კონტინგენტის აღრიცხვა და დაზუსტების შესახებ — 20 ივნისისათვის და მესამე მოხსენება I კლასის ასაკის და განთესილი ბავშვების ფაქტიურად ჩაბმის შესახებ — 20 სექტემბრისათვის.

11. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა გააშუქონ პირველდაწყებითი საყოველთაო - სავალდებულო სწავლების მდგომარეობა და სისტემატურად მოათავსონ წერილები კოლეგიის ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

განსაკუთრებული დადგენილება

12. პირველდაწყებითი საყოველთაო სწავლების ქსელის შესაფერად გაუშლელობისა, 1 კლასებში ჩასაბმელ მოსწავლეთა წინასწარ აღრიცხვის საქმისა და მოსწავლეთა განთესვის ლიკვიდაციისათვის ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობისათვის მიეცეს გაფრთხილება სტალინისა, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს ამხ. ამხ. მშველიძეს, ლეჟავას და მსუქნიშვილს.

წინადადება მიეცეს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. გიორგაძეს ა/წ 10 მარტამდე დაამუშაოს კოლეგიის ეს დადგენილება ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაკების თათბირზე და პირადად უხელმძღვანელოს მიღებულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმების საქმეს.

13. კოლეგიის ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საქ. სსრ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის მე-3 ნომერში.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე
ლ. გეგეშიძე

დაწყებითი სკოლის სამმართველოს უფროსი
უ. ოზოლაძე

დადგენილება
საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიისა

1939 წ. 10 თებერვალს

საშუალო სკოლებში 1938/1939 სასწ. წლის პირველ ნახევარში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1938/39 სასწავლო წლის პირველ ნახევარში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული; სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები ზუსტად არის გამოყენებული. სკოლები უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, ზაფხულის განმავლობაში რესპუბლიკურ ერთთვიან კურსებზე გადამზადებულია არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის 124 მასწავლებელი. რიგი სკოლების მასწავლებლები ენერგიულად მუშაობენ საკუთარ პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევის საქმე (თბილისი, ქუთაისი, ცხაკაია, ზუგდიდი, სიღნაღი) ტარდება ღია გაკვეთილები, მოხსენებები მშობლიურ ენისა და ლიტერატურის სწავლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკივნეულ საკითხებზე, ხდება გაკვეთილების ხშირი შემოწმება და მასწავლებელთათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა. გაზრდილია ადგილობრივ განათლების ორგანოების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი. ყველა ამის შემდეგ ბევრ სკოლაში გაკვეთილები ტარდება ორგანიზებულად, გაუმჯობესდა მხატვრული ნაწარმოების შესწავლა უშუალოდ მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძველზე. მოსწავლეთა მეტყველების კულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები იქნა მოპოვებული. გასულ წელთან შედარებით ძირითადად გაუმჯობესდა როგორც საკლასო, ისე საშინაო წერითი მუშაობის ხარისხიც (სახეები, გასწორების სიზუსტე, რაოდენობა).

გამოკვლეულ სკოლებში სწავლების კარგი ნიმუშები მოგვცა: მე-21 საშუალო სკოლამ — მასწ. ასათიანი (თბილისი-კიროვის რაიონი), ლაგოდეხის პედსასწავლებელმა— მასწ. მხილაძე, ზუგდიდის საშუალო სკოლამ — მასწ. ს. შენგელია, ი. კოდუა, ქვ. მაჩხაანის საშუალო სკოლამ — მასწ. მ. პეტრიაშვილი. ანაგის საშუალო სკოლამ—მასწ. ა. მირიანაშვილი, სიღნაღის პედსასწავლებელმა. მასწ. ან. ბაქრაძე — ქარელის საშუალო სკოლამ — მასწ. ნ. ლუტიძე, ხაშურის რაიონი და სხვ.

მიღწევებთან ერთად საშუალო სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურის სწავლებას ჯერ კიდევ ახასიათებს ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი საშუალო სკოლის ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, რის გამოც გაკვეთილზე უშვებს უხეშ შეცდომებს და პროგრამულ მასალის გავლასა და ათვისებაში ადგილი აქვს ჩამორჩენას (ქვ. მესხეთის არასრული საშუალო სკოლა —მასწ. გვენცაძე—ქუთაისის რაიონი, სურამის საშუალო სკოლა—მასწ. მშვიდობაძე—ხაშურის რაიონი, ოძისის არასრული საშუალო სკოლა—დუშეთის რაიონი). არის ერთეული შემთხვევები, როცა განათლების განყოფილებები განსახკომთან შეუთანხმებლად ენისა და ლიტერატურის სწავლებას არასპეციალისტებს ანდობენ (ხოვლეს საშ. სკოლაში ენასა და ლიტერატურას მათემატიკის მასწავლებელი ასწავლიდა).

ზოგიერთ სკოლებში სამუშაო გეგმები, განსახკომის მიერ დამტკიცებულ პროგრამის თანმიმდევრობით არაა შედგენილი და ადგილი აქვს პროგრამით გათვალისწინებულ მასალის დაუშვებელ გადაჯგუფებას (საგარეჯოს პედსასწავლებელი—მასწ. ალ. კალანდაძე).

ბევრგან სათანადო ყურადღება არ ექცევა ლიტერატურის თეორიიდან მხატვრული ნაწარმოების შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხების გავლას, რის გამოც მოსწავლეებს უძნელდებათ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, არა აქვთ გამომუშავებული მეტყველების კულტურა.

(ქვაციხის არასრული საშუალო სკოლა— ჭიათურის რაიონი, ყვარელის ა/ს საშუალო სკოლა, ოძისის ა/ს სკოლა—დუშეთის რაიონი, სურამის საშუალო სკოლა—ხაშურის რაიონი, კასპის საშუალო სკოლა—კასპის რაიონი).

ზოგ რაიონში განათლების განყოფილებანი და პედაგოგიური კაბინეტები სპეციალურად არ სწავლობენ ქართულ ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას, არ ანზოგადებენ გამოკვლევის შედეგებს.

ხშირად საკლასო წერისათვის თემები არაა მოფიქრებულად შერჩეული („ა. ყაზბეგის დახასიათება „ელგუჯას“ და „მამის მკვლელის“ მიხედვით—სურამის საშუალო სკოლა, „მოთხრობა“ „ხევის ბერი გოჩა“ ა. ყაზბეგის მიხედვით—ქვ. მესხეთის არასრული საშუალო სკოლა—ქუთაისის რაიონი). ზოგჯერ წერა ტარდება მხოლოდ ენობრივ მაგალითებზე და მწერალთა შემოქმედებიდან კი არც ერთი თემა არაა დაწერილი (სურამის საშუალო სკოლა მასწ. თ. მაჭარაშვილი). ბევრი სკოლის მოსწავლენი ჯერ კიდევ არ არიან დაუფლებული მხატვრული ნაწარმოების გამოყენებას. მის კრიტიკულ ანალიზს, თემის დამუშავება ხდება ზერელედ, ბევრია სტილისტური, ლოგიკური და ორთოგრაფი-

ული შეცდომები, არ არის მიღწეული მრავალფეროვანება წერითი მუშაობის სახეებში (ქითაწყარის არასრული საშუალო სკოლა, ზუგდიდის მე-3 არასრული საშუალო სკოლა). დიდი ნაწილი სკოლებისა არ აქცევს ყურადღებას საშინაო წერითი დავალებების შემოწმების საქმეს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შემდგომი აღმავლობის მიღწევისათვის **საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია ადგენს:**

1. საშუალო სკოლების სამმართველომ სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სპეციალური გამოკვლევა და შედეგების განზოგადოება.

2. სკოლის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტმა ა/წ 20 აპრილამდე უზრუნველყოს მეთოდ-წესით „წერითი მუშაობის სახეები და გასწორების ხერხები საშ. სკოლაში" სკოლამდე დაყვანა.

3. საშუალო სკოლის სამმართველომ 1-ლ აპრილამდე თვითეულ სკოლაზე დაიყვანოს სკოლის გარეშე საკითხავი წიგნების რეკომენდირებული სია.

4. საშ. სკოლის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტმა დაამზადოს გამოსაცემად პლაკატები: „ქართული ლიტერატურის კლასიკოსები პორტრეტებში და ილუსტრაციებში" (შ. რუსთაველი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ბარათაშვილი, შ. მღვიმელი, ეგნ. ნინოშვილი, ალ. ყაზბეგი).

5. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა 1939 წლის 1-ლ მაისამდე უზრუნველყოს დამუშავება და გამოცემა პლაკატების სახით: —„მხატვრული ნაწარმოების შესწავლა დაწყებით სკოლაში", „მხატვრული ნაწარმოების შესწავლა საშუალო სკოლაში", „წერითი სავარჯიშოების სახეები—საშუალო სკოლაში" და პოეტიკის სავარჯიშო პლაკატები (ომონიმები, სინონიმები, ეპიტეტები, შედარებები, გაპიროვნებები, მეტაფორები და სხვა).

6. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა სისტემატურად მოაწყონ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემოწმება შედეგების განზოგადოებით. შედეგები დამუშავდეს პედკაბინეტის, საუბნო-ჯგუფური თათბირების, საგნობრივი კომისიების და პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე. პედკაბინეტის მუშაობა გარდაქმნან იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებელთათვის სათანადო მეთოდური დახმარების აღმოჩენა (ღია გაკვეთილების მოწყობის ორგანიზაციაში დახმარება, მოხსენებების ჩატარება მეთოდურ საკითხებზე, კონსულტაციები, საუკეთესო მასწავლებლის მუშაობის შედეგების განზოგადოება და სხვა).

7. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა უზრუნველყოს განსახკომის პროგრამის თანმიმდევრობით საკითხების დამუშავება და გადაცემა იმგვარად, რომ სასწავლო წლის დასასრულს მიღწეულ იქნეს კარგი მაჩვენებლით პროგრამის სრული ამოწურვა.

8. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში მეტყველების კულტურის გამომუშავებას, ლიტერატურულ ტექსტზე მოსწავლის ინდივიდუალურ მუშაობის და პოეტიკიდან საკითხების თანმიმდევრულად შესწავლას მხატვრულ ნაწარმოების ტექსტთან დაკავშირებით.

9. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა უზრუნველყოს საკლასო და და საშინაო წერითი მუშაობის სწორი ორგანიზაცია: გულმოდგინედ შეარჩიოს საწერი თემები, წერა ჩაატაროს მომზადებულად, კლასის სათანადო მომზადების შემდეგ. საწერ თემებად დაამუშაოს კონკრეტული საკითხები (გმირების დახასიათება, მოკლე შინაარსის გადმოცემა, კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ანალიზი და სხვ.).

წერითი ნამუშევარი გასწორდეს მოფიქრებით: განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აზრის სიტყვიერ ფორმებში ჩამოყალიბებას, სტილისტურ, კალიგრაფიულ შეცდომებს, სასვენი ნიშნების სწორად ხმარების

ჩვევის გამომუშავებას. ყოველი წერითი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ სწორდებოდეს სისტემატურად, დროულად და გულდასმით.

10. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა უზრუნველყოს სკოლაში ლიტერატურული წრის სწორი ორგანიზაცია (მხატვრული ხელთნაწერი ჟურნალის გამოშვება, კედლის გაზეთის გამოცემა, მოხსენებების ჩატარება მწერალთა შემოქმედებიდან, ლიტერატურულ გასამართლებათა მოწყობა და სხვა.)

11. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მეოთხედის ანგარიშები და წლიური ანგარიშები სრულად წარმოადგინონ რაიონის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მდგომარეობის სურათი (პროგრამული მასალის გავლა, წერითი მუშაობის სახეები, მოსწავლეებში ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავების შედეგები, ღია გაკვეთილების ორგანიზაცია, მასწავლებელთა მეთოდდახმარება და სხვა), და მათ მიერ დასახული ღონისძიებანი.

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და ფართოდ დამუშავდეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ განათლების სახ. კომ ისარიატის კოლეგიის დადგენილება

1939 წ. თებერვალს

მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის სკოლებში

(მომხსენებელი საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი ბეს. კიზირია)

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია აღნიშნავს, რომ მათემატიკის სწავლების მდვომარეობა წინაწლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სკოლები წინაწლებთან შედარებით უკეთ არიან მომარაგებულნი სახელმძღვანელოებით, გაზრდილ იქნა უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვი (ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში ირიცხება 577 მასწავლებელი სპეციალური უმაღლესი განათლებით, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით 224 მასწ. და სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული 305 მასწ.); გაუმჯობესდა ახალგაზრდა მასწავლებელთათვის სისტემატური დახმარების გაწევის საქმე; ჩატარდა და ტარდება მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადების რესპუბლიკურ და რაიონულ სხვადასხვა სახის კურსებზე. ყველა ამის შედეგად მთელ რიგ სკოლებში, როგორც ქალაქად, ისევე რაიონებშიაც მათემატიკის სწავლების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა (ქუთაისის პედსასწავლებელი—მასწავ. ნ. სვანიძე და კოსტავა, 1 საშუალო სკოლის მასწ. ისაკი ბალანჩივაძე, თბილისის მე-18 საშ. სკოლა—მასწ. ვ. აბდულაშვილი და თ. ყაზახაშვილი, მე-25 საშ. სკოლა—მასწ. სალარიძე, I საშ. სკოლა—მასწ. ელ. ბერიტაშვილი, საგარეჯოს პედსასწავლებელი—მასწ. ვ. მელაძე, ყვარელის სასწავლებელი—მასწ. ვ. მელაძე, აბაშის საშ. სკოლა—მასწ. კირცხალია და სხვა).

მიღწევებთან ერთად რიგ სკოლებში მათემატიკის სხვადასხვა დისციპლინების სწავლების დაყენების საქმეში ადგილი აქვს დეფექტებს. ზოგ სკოლებში არითმეტიკის საათები (მე-4—5 კლ.) ეძლევა რომელიმე სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებელს საათების შევსების მიზნით, ამის გამო არითმეტიკის მნიშვნელოვან განყოფილებებს და თავებს ან სრულიად არ ამუშავებენ, ანდა ამუშავებენ მცდარად,—ახდენენ სხვადასხვა არითმეტიკულ დებულებების შესწავლას დაუმტკიცებლად—გაზეპირებით, რის შედეგად ზოგი ჩვევები მოსწავლეებში განმტკიცებული არ არის. წილადების სწავლების ხერხებს ბევრგან გაცნობილი არ არიან, არ იცავენ მოქმედებათა თანამიმდევრობას, არ ამუშავებენ ფარჩხილებზე მოქმედებების აზრს

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

და შინაარსს; ნაკლებად ეცნობიან ამოცანის ამოხსნის ხერხებს და მიღებული პასუხის შემოწმებას. ყარაიაზის რუსულ სკოლაში მაგ. 8—4 : 2 მასწავლებელმა არასწორად დაამუშავა—პირველად 8-ს გამოაკლო 4 და შემდეგ გაყო 2-ზე; აბაშის რაიონის მაიდნის ა/ს საშუალო სკოლის მე-5 კლასში წილადების შეკრება აწარმოეს—

$\frac{3}{4}+\frac{5}{6}=\frac{3+5}{4+6}=\frac{8}{10}$, ვერ შეადარა $\frac{4}{5}$ და $\frac{5}{6}$ და. ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს არაერთგზის მიეცათ მითითება ალგებრის კურსის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ პირველი და მეორე ხარისხის განტოლებების დამუშავებაზე და მათი ამოცანების ამოხსნისათვის გამოყენებაზე, რიგ სკოლებში გარდატეხა ამ მიმართულებით მიღწეული არ არის. მოსწავლეებს არა აქვთ შეთვისებული ამოცანის ამოხსნის ძირითადი მომენტები; ხშირად ამოცანის პირობის შემოწმება, განსაკუთრებით კი ფესვების ანალიზს ან სრულიად არ აწარმოებენ, ანდა ამ მნიშვნელოვან მომენტს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან (რიგ სკოლებში—ალბულაღის საშუალო სკოლა, ჩოხატაურის პედსასწავლებელი, კასპის საშ. სკოლა—ფესვების ანალიზს ასე აწარმოებენ: თუ X-ის მნიშვნელობა უარყოფითია ხელაღებით აცხადებენ **„უვარგისია“**, რაც ანალიზს არ ნიშნავს).

ფარდობითი რიცხვებზე მოქმედებების დამუშავება ზერელედ არის ჩატარებული და შედეგებიც არ არის დამაკმაყოფილებელი (თბილისის მე-15 საშ. სკოლა, სიმონიანთხევის საშუალო სკოლა, ქვედა სიმონეთის საშ. სკოლა და სხვა).

გეომეტრიის სწავლებისას რიგი სკოლებისა თვალსაჩინოებას არ უთმობს სათანადო ადგილს; გეომეტრიული შინაარსის ამოცანების აგებაზე და გამოანგარიშებაზე, ტრიგონომეტრიის გამოყენების გარეშე, მხოლოდ ზოგან, იშვიათ შემთხვევებში მუშავდება (ჭავჭავაძის სახელ. სკოლა, მე-18 საშ. სკოლა, ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა).

წერითი შრომების სახეები მრავალ შემთხვევაში არასწორად არის შერჩეული, არ არის შეფარდებული პროგრამის მიხედვით გავლილ დამუშავებულ საკითხებთან, ზოგი შრომა მოცემულ დროში არ ეტევა, ზოგი შრომისათვის კი მოცემული დრო ზედმეტია; ასე, მაგ., გიორგიწმინდის ა/ს. საშუალო სკოლაში (საგარეჯოს რაიონი) ერთ-ერთი საკონტროლო შრომა—მაგალითით .

$(3a^2b)(2ab^3)$ ამოიწერება; ასურეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი კი საკონტროლო შრომისათვის აძლევს 6 მაგალითს ისეთი შინაარსისას, რომ მათი ამოხსნა საუკეთესო მოწაფეს შეუძლია არა უადრეს 2 საათისა. საგარეჯოს საშუალო სკოლაში (მასწ. ლ. გულისაშვილი) დამთავრებულია არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესია და საკონტროლო შრომა ჩატარებული არ არის.

განათლების განყოფილებები ნაკლებ დახმარებას უწევენ სკოლებს მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების საქმეში; მეტწილად მათი დახმარება მხოლოდ გამორკვევით სრულდება და გამორკვევის პროცესში მასწავლებელს კონკრეტული დახმარება და მითითება არ ეძლევა (აბაშის რაიონი, კასპის რაიონი, ყვარელის და სხვა).

მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მათემატიკის სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიღწევისათვის საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია ადგენს:

I. საქართველოს განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოების ხაზით

1. მათემატიკის სწავლების საქმეში თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით იქნეს თვალსაჩინო ხელსაწყოების მოდელების და პლაკატების დამზადება.

2. 1939 წლის კვარტალურ სამუშაო გეგმებში საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ გათვალისწინებული იქნეს სკოლებში სპეციალურად მათემატიკის სწავლების მდგომარეობის გამოკვლევა, გამოკვლევის შედეგების სისტემატური განზოგადოება და სკოლებამდე დაყვანა.

II. საშუალო სკოლის და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების ხაზით.

3. მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური დახმარების მიზნით გამოცემულ იქნეს მეთოდური კრებული, რომელშიაც მოცემულ იქნეს მათემატიკური დისციპლინების ცალკეული საკითხების დამუშავების ნიმუშები, ამოცანების (არითმეტიკული, ალგებრული, გეომეტრიული) ამოხსნების და მათი შემოწმების სახეები; წერითი მუშაობის სახეები, გასწორების მეთოდიკა და სხვა.

4. გარდაიქმნას მუშაობა რაიმეთოდკაბინეტის მათემატიკური სექციების, საუბნო ჯგუფური გაერთიანებების და სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური კომისიის მუშაობა იმგვარად, რომ მასწავლებელს გაეწიოს რეალური დახმარება პროგრამების შესწავლაში, გაკვეთილების დაგეგმვაში, წლის და მეთოდიური გეგმების შედგენაში. მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებაში. პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის შესწავლაში და სხვა. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს დაეკალოს უზრუნველყოს მეთოდკაბინეტები კვალიფიციური ძალების დახმარებით.

5. 1939 წლის მასწავლებელთა გადამზადების საზაფხულო კურსების გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადება (განსაკუთრებით არითმეტიკის მასწავლებელთა).

III. სკოლების ხაზით

6. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) და სასწავლო ნაწილის გამგეებმა ყოველდღიურად შეამოწმონ მათემატიკის მასწავლებელთა სამუშაო გეგმები, დაანესონ გაკვეთილებზე ხშირი დასწრება და გაკვეთილებზე დასწრების შედეგად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შედეგის გაუმჯობესებისათვის; ადეკნონ თვალყური დავალებათა შესრულებას და შეუქმნან მასწავლებლებს პირობები პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებით მუშაობის გაუმჯობესებისა.

7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერითი სამუშაოების მოსწავლეთა წარმოებას, სათანადო დავალებათა მიცემას, შესრულების კონტროლს. სკოლის ხელმძღვანელობამ შემოიღოს მოსწავლეთა საკლასო წერითი სამუშაოების და საშინაო დავალებათა სისტემატური გარჩევა-განხილვა და მასწავლებელთათვის დახმარების აღმოჩენა შემჩნეული ნაკლის გამოსწორებისათვის.

8. მათემატიკის მასწავლებელმა სხვადასხვა დებულებების დამუშავების დროს მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინო ხელსაწყოები და მასთან ერთად მეთოდების და ხერხების ნაირსახეობათა გამოყენებით უზრუნველყონ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

9. აღკვეთილ იქნეს მათემატიკური წესებისა და დებულებების მხოლოდ ზეპირად შესწავლა; მათემატიკის მასწავლებელმა ყოველდღიურ მუშაობაში ძირითად პრინციპად მიიჩნიოს მათემატიკური დებულებების განხილვა—სწავლებისა, ამ დებულებათა მტკიცების საფუძვლიანი ანალიზი.

10. ალგებრის კურსის შესწავლისას მთავარი ყურადღება მიექცეს განტოლებების დამუშავებას და მათ გამოყენებაზე ამოცანების ამოხსნის საქმეს, რადგან განტოლების ფესვების ანალიზი და ამოცანათა პირობების შემოწმება მიღებული ფესვის მიხედვით აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ ამოცანის ასათვისებლად, როგორც წესი, ყოველი ამოცანა მუშავდებოდეს ამოცანის პირობების შემოწმებით. ვრცლად დაამუშაოს განტოლებათა გრაფიკები და საერთო გრაფიკების სახეები მუშავდებოდეს ვრცლად პროგრამის მოთხოვნილების მიხედვით.

11. გეომეტრიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ფართოდ იქნეს გამოყენებული დიდაქტიური ხელსაწყოები. გეომეტრიული ამოცანების გამოანგარიშებას ფართო ადგილი დაუთმონ გეომეტრიის კურსის შესწავლისას.

12. ტრიგონომეტრიის საკითხების დამუშავების დროს გამახვილებული იქნეს ყურადღება ტრიგონომეტრიული განტოლებისა

და გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა ტრიგონომეტრიის გამოყენებით.

13. სკოლის ხელმძღვანელობამ და მათემატიკის მასწავლებლებმა ყურადღების ცენტრში დააყენონ მოსწავლეთა შორის საწრეო მუშაობის გაშლის საქმე.

განსახკომის კოლეგიის ეს დადგენილება დამუშავდეს სკოლებსა, საუბნო—ჯგუფურ და სარაიონო—მეთოდურ თათბირებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მათემატიკის სწავლების საქმეში არსებული ნაკლის აღმოფხვრისა და სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის.

რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს

სკოლების რემონტის და სასკოლო ავეჯის შეკეთება-დამზადების 1939 წლის გეგმა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს თქვენგან მიღებული არა აქვს.

მომავალ სასწავლო წლის სამზადისის დროზე დამთავრებისათვის აუცილებელია, სამზადისის გეგმის თავისდროზე დამუშავება სასოფლო საბჭოებში, მისი თვითდაბეგვრის თანხებიდან დაფინანსების საკითხის გამორკვევა, ადგილობრივი საშენი მასალის დამზადება და სხვ., რისთვისაც განსახკომი გავალებთ:

1. დაუყოვნებლივ გაშალოთ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ყველა სასოფლო საბჭოში დამუშავდეს სკოლების და საბავშვო ბაღების შენობათა და სასკოლო ავეჯის შეკეთება-დამზადების გეგმა; მისი თვითდაბეგვრის თანხებიდან დაფინანსების უზრუნველსაყოფად, შეაჯამოთ რაიონის ფარგლებში და გადმოგზავნოთ განსახკომის სასკოლო მშენებლობის სამმართველოში არაუგვიანეს ამა წლის 25 მარტისა.

2. გამოარკვიოთ რა რაოდენობით დაგჭირდებათ დეფიციტური საშენი მასალა: ლურსმანი, ოლიფა, მათეთრა, წებო და სხვ. და ეს მოთხოვნილება თავის დროზე წარმოადგინოთ განსახკომში.

მოგაგონებთ, რომ მოთხოვნილების წარმოდგენა არ უნდა იგულისხმოთ ისე, რომ მასალა მოგეცემათ მთელი ასი პროცენტით. განსახკომი შეეცდება, შესაძლებლობის ფარგლებში, დაგეხმაროთ, მაგრამ თქვენ მიერ ადგილებზეც, უნდა იქნეს მიღებული ჯეროვანი ზომები საჭირო საშენი მასალის გამოსანახავად (კოოპერაციის და სახვაჭროების ხაზით).

3. მხედველობაში იქონიეთ, რომ რემონტისათვის ბიუჯეტში მეტად მცირე თანხაა გათვალისწინებული, რის გამოც თქვენ უნდა შეეცადოთ ადგილობრივი სახსრების მობილიზება (თვითდაბეგვრა და სხვა ადგილობრივი სახსრები) იყოს მაქსიმალური შესაძლებლობის.

ამ მომართვის მიღებისთანავე მობილიზაცია უნდა უყოთ ადგილობრივ საზოგადოებრივ და პროფკავშირის ორგანიზაციებს და კომკავშირთან ერთად ფართოდ გაშალოთ მუშაობა რეალური გეგმის დასაზუსტებლად და მისი ცხოვრებაში თავის დროზე გასატარებლად.

სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე ლ. გეგეშიძე
სასკოლო მშენებლობის სამმართველოს
უფროსი დ. მელიქაძე

პ/მგ. რედაქტორი ლ. გეგეშიძე

სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუსთაველის № 36. თბილისი მთავლიტი № ა-489 შეკვ. № 854 ტირაჟი 5000